სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის ანგარიში

საანგარიშო პერიოდი: 2019 წლის იანვარი-დეკემბერი

შინაარსი

პროექტები **3**

მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტები 3

სახელმძღვანელოების პროექტი 4

საერთაშორისო პროექტი „JourEG" 5

ჟურნალები **6**

გარემო და საზოგადოება 6

ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალი 6

სტუდენტთა ჟურნალი სოციალურ მეცნიერებებში 7

კონფერენციები, ფორუმები, სემინარები **8**

ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა" 8

V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "პოლიტიკა კავკასიის გარშემო" 9

საერთაშორისო სამეცნიერო კვლევითი კონგრესი - თბილისი 2019 9

სტუდენტთა V საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია 10

სტუდენტთა 79-ე საუნივერსიტეტო კონფერენცია 12

სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია „კავკასია გზაჯვარედინზე - რეგიონული სტაბილურობის გამოწვევები" 14

საჯარო ლექცია „რატომ არის გეოგრაფიული მდებარეობა მნიშვნელოვანი: კონფლიქტების მექანიზმების გაგება გეოგრაფიულ ჭრილში ჩრდილოეთ ირლანდიის, კენიისა და „ახლო საზღვარგარეთის" მაგალითებზე" 15

ორადეას უნივერსიტეტის (რუმინეთი) პროფესორების საჯარო ლექცია 16

ამერიკელ პროფესორთა საჯარო ლექციები 16

სამუშაო შეხვედრა სოციალურ მუშაკთა განათლების შესახებ 17

მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტებისა და სახელმძღვანელოების პრეზენტაცია 17

„ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალის" მეშვიდე ნომრის პრეზენტაცია 19

საჯარო ლექციათა ციკლი **19**

მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი 2019 ..... **20**

პროექტები

მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის N6/30, 06.03.2019 ბრძანების თანახმად, გამოცხადდა კონკურსი მიზნობრივ სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის ფარგლებში, რომელშიც მონაწილეობა შეეძლოთ ფაკულტეტის პროფესორებს, სწავლების სხვადასხვა დონიდან წარმოდგენილი არანაკლებ ორი სტუდენტის ჩართვით.

საფაკულტეტო მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის ფარგლებში შემოსული საპროექტო წინადადებების შესაფასებლად, ამავე ბრძანებით შეიქმნა საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

- თამარ დოლბაია - კომისიის თავმჯდომარე, ასოცირებული პროფესორი, ფაკულტეტის დეკანი
- თეონა მატარაძე – კომისიის მდივანი, ასოცირებული პროფესორი, დეკანის მოადგილე სამეცნიერო დარგში;
- ვალერიან მელიქიძე - ასოცირებული პროფესორი, დეკანის მოადგილე სასწავლო დარგში
- იაგო კაჭკაჭიშვილი – პროფესორი, სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულების ხელმძღვანელი
- ზურაბ დავითაშვილი – პროფესორი, საერთაშორისო ურთიერთობის მიმართულების ხელმძღვანელი
- ნინო ჭალაგანიძე – ასოცირებული პროფესორი, ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ხელმძღვანელი

- სალომე დუნდუა – ასოცირებული პროფესორი, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი
- თეა ვახანია – ფაკულტეტის ფინანსური კონსულტანტი

მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის ფარგლებში სულ შემოვიდა **4** განაცხადი. კომისიის შეფასებით გაიმარჯვა ორმა პროექტმა:

- „მთის მოსახლეობის მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გამოწვევები ყაზბეგის ეროვნული პარკის გაფართოების კონტექსტში“

  ხელმძღვანელი - იოსებ სალუქვაძე, პროფესორი

- „პროტესტის რეპერტუარის ტრანსფორმაცია საქართველოში“

  ხელმძღვანელი - თამარ ქარაია, ასისტენტ-პროფესორი

სახელმძღვანელოების პროექტი

2019 წლის იანვარში, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის N2 ბრძანების თანახმად გამოცხადდა ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამათა საგნების სახელმძღვანელოების შექმნის/განახლების კონკურსი. კონკურსის განსახორციელებლად ფაკულტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან გამოიყო 20 000 ლარი. კონკურსის პირობების თანახმად, ახალი სახელმძღვანელოების შექმნის ღირებულება არ უნდა ყოფილიყო 5000 ლარზე მეტი. არსებული, 2013 წლამდე გამოცემული სახელმძღვანელოების განახლება კი არ უნდა აღმატებოდა 3000 ლარს. საკონკურსო კომისია შეიქმნა შემდეგი შემადგენლობით:

- თამარ დოლბაია – კომისიის თავჯდომარე, ასოცირებული პროფესორი, ფაკულტეტის დეკანი;
- თეონა მატარაძე – კომისიის მდივანი, ასოცირებული პროფესორი, დეკანის მოადგილე სამეცნიერო დარგში;

- რევაზ ჯორბენაძე – პროფესორი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- ვალერიან მელიქიძე – ასოცირებული პროფესორი, დეკანის მოადგილე სასწავლო დარგში;
- ალექსანდრე კუხიანიძე – პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერების მიმართულება
- ნანა ტალახაძე – ასოცირებული პროფესორი, ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულება
- ზურაბ დავითაშვილი – პროფესორი, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი;

კომისიამ გამარჯვებულად ცნო შემდეგი სახელმძღვანელოების პროექტები:

1. კახა ქეცბაია - „რელიგიის სოციოლოგია“
2. გიორგი კვინიკაძე - „Введение в общественную географию”
3. თამარ მახარაძე და ნინო შატბერაშვილი - „სოციალური მუშაობის კვლევის მეთოდები“
4. ლია წულაძე - „სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდები“
5. სალომე დუნდუა - „პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორია“.

საერთაშორისო პროექტი „JOUREG”

2019 წელს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი ჩაერთო ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის (გერმანია) მიერ ინიცირებულ პროექტში „ჟურნალისტიკა ევროპულ საზოგადოებებში“, რომლის მიზანი იყო ევროპული ჟურნალისტიკის წინაშე არსებული გამოწვევების შესახებ თანამედროვე სასწავლო მასალის შექმნა. პროექტში მონაწილეობდნენ პროფესორები 4 უნივერსიტეტიდან: ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იური ფედკოვიჩის სახელობის ჩერნივცის ეროვნული უნივერსიტეტი (უკრაინა) და მოლდოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

პროექტის ფარგლებში წლის მანძილზე შედგა 3 სამუშაო შეხვედრა (მაისში, ივლისსა და ნოემბერში), სადაც მონაწილეობდა 3 წარმომადგენელი თითოეული უნივერსიტეტიდან (სულ 12 მონაწილე). მიმდინარეობს მუშაობა სასწავლო მასალების (მათ შორის ქართულ ენაზე) შექმნაზე.

ჟურნალები

გარემო და საზოგადოება

ინტერდისციპლინური სამეცნიერო ჟურნალი "გარემო და საზოგადოება" არის ღია ხელმისაწვდომობის, რეცენზირებადი ქართულ, ინგლისურ და რუსულენოვანი ელექტრონული გამოცემა, რომელიც დაფუძნებულია 2018 წელს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და უცხოელ პარტნიორთა ძალისხმევით. ჟურნალის მიზანია ხელი შეუწყოს საზოგადოების და ბუნების განვითარების ინტერდისციპლინურ კვლევათა პოპულარიზაციას; გახდეს ცნობადი საერთაშორისო სამეცნიერო გამოცემა; დააკავშიროს ერთმანეთთან სხვადასხვა კვლევითი მიმართულების სპეციალისტები და შესთავაზოს მათ აზრთა გაცვლისა და თანამშრომლობის ასპარეზი.

2019 წელს გამოქვეყნდა ჟურნალის პირველი ნომერი. მასში შესულია 4 სტატია:

„Geographical characteristics of Tbilisi, goals of landscapes Planning and functial zoning"

ავტორები: თამარ დოლბაია, ნოდარ ელიზბარაშვილი, ნინო სულხანიშვილი;

„Actual Issues and Tendenciees of Devepment of Landscape Geography in Georgia"

ავტორი: ნოდარ ელიზბარაშვილი;

„The Contamination with Heavy Metals and the Toxicity Level of Arable Lands in the Industrial Region of Georgia Bolnisi-Kazreti"

ავტორები: რუსუდან გიგაური, ნინო ბიჭიაშვილი, ბესიკ კალანდაძე, შუქრი ჯაფარიძე, დავით ქადაგიშვილი;

„The Effects of Glasnost in Georgia"

ავტორები: ხათუნა მაისაშვილი, ნათია სვანიძე.

ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე 2015 წელს დაარსდა "ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალი." ჟურნალი მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახლმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადოქტორო საფეხურის სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობას და მისცეს მათ საშუალება, საკუთარი ნაშრომები გააცნონ ფართო აკადემიურ საზოგადოებას.

გამოსაქვეყნებლად წარმოდგენილი სტატია გადის შემოწმების რამდენიმე საფეხურს, რომელიც მოიცავს ტექნიკურ შემოწმებას, სარედაქციო კოლეგიის წევრთა შეფასებას და გარე რეცენზირებას. ამგვარი სისტემა საშუალებას აძლევს სტუდენტებს დააგროვონ რეფერირებად ჟურნალებში ნაშრომების გამოქვეყნების გამოცდილება.

ჟურნალს ჰყავს სარედაქციო კოლეგია შემდეგი შემადგენლობით:

- ✓ კორნელი კაკაჩია – სამეცნიერო რედაქტორი, პროფესორი
- ✓ ვალერიან მელიქიძე – სამეცნიერო რედაქტორი, ასოცირებული პროფესორი
- ✓ თეონა მატარაძე- აღმასრულებელი რედაქტორი, ასოცირებული პროფესორი
- ✓ იაგო კაჭკაჭიშვილი – პროფესორი
- ✓ თორნიკე თურმანიძე - პროფესორი
- ✓ ხათუნა მაისაშვილი – ასოცირებული პროფესორი
- ✓ ზურაბ აბაშიძე -ასოცირებული პროფესორი

ჟურნალს ასევე ჰყავს მრჩეველთა საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

- ✓ ვლადიმერ პაპავა – აკადემიკოსი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
- ✓ რევაზ გაჩეჩილაძე – პროფესორი, საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი
- ✓ ზაზა ფირალიშვილი – დოქტორი
- ✓ ოლივერ რაისნერი – დოქტორი
- ✓ ფლორიან მიულფრიდი – დოქტორი

2019 წელს ჟურნალში განსახილველად შემოვიდა 8 სტატია. სტატიების უმრავლესობაზე მუშაობა დასრულებულია. მიმდინარეობს დარჩენილი ნაწილის რეცენზირება და დაკაბადონება.

2016 წლის სექტემბრიდან დაიწყო მუშაობა სტუდენტთა სამეცნიერო ჟურნალის შექმნის მიმართულებით. ჟურნალი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორთა ძალისხმევით დაფუძნდა.

ჟურნალის მიზანია, ხელი შეუწყოს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებს სამეცნიერო სტატიების შექმნასა და თავისი ნაშრომების ფართო საზოგადოებისათვის გაზიარებაში. ჟურნალი არის ელექტრონული, ღია ხელმისაწვდომობის. ჟურნალში შემოსული სტატიები გადის შიდა რეცენზირებას ჟურნალის სარედაქციო საბჭოს წევრებთან. 2019 წელს გამოვიდა ჟურნალის 4 ნომერი, სულ – 15 სტატია. გამოქვეყნებული სტატიების თემატიკამ მოიცვა მრავალი სფერო: სოციოლოგია, პოლიტიკა, საერთაშორისო ურთიერთობები, მედია, აგრარული პოლიტიკა, კონფლიქტები, საზოგადოებრივი გეოგრაფია, ჟურნალისტიკა და სხვა.

კონფერენციები, ფორუმები, სემინარები

ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა“

20-22 ივნისს გაიმართა VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა". კონფერენციის სამუშაო თემა იყო "ევროინტეგრაცია, როგორც განვითარების ფაქტორი". მუშაობდა ინგლისურ და ქართულენოვანი სექციები. ქართველ მომხსენებლებთან ერთად მონაწილეობდნენ სტუმრები პოლონეთიდან, მონტენეგროდან, თურქეთიდან, ბელგიიდან და სხვა. სულ წარმოდგენილი იყო 45 მოხსენება. დეტალური ინფორმაციის ნახვა შესაძლებელია ბმულზე: http://ssp.tsu.ge/axali/

V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "პოლიტიკა კავკასიის გარშემო"

1 ნოემბერს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტისა და საქართველოს სამეზობლოს კვლევის ინსტიტუტის " ორგანიზებით გაიმართა V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "პოლიტიკა კავკასიის გარშემო". კონფერენციაში მონაწილეობდნენ როგორც ქართველი, ისე უცხოელი მკვლევრები. კონფერენციის სამუშაო ენა იყო ინგლისური. მიმდინარეობს მუშაობა ნაშრომთა კრებულის გამოქვეყნებაზე.

საერთაშორისო სამეცნიერო კვლევითი კონგრესი - თბილისი 2019

18-20 აპრილს გაიმართა „საერთაშორისო სამეცნიერო კვლევითი კონგრესი - თბილისი 2019“. ღონისძიება ჩატარდა გუმუშანეს უნივერსიტეტის (თურქეთი), თბილისის იუნუს ემრეს ინსტიტუტისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ორგანიზებით. კონგრესი მიზნად ისახავდა დარგის მცოდნე ექსპერტთა და მეცნიერთათვის იდეებისა და პროექტების გაზიარების შესაძლებლობის მიცემას. კონგრესის მონაწილეებს დაურიგდათ აბსტრაქტების კრებულები.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, 2019 წლის 4–5 ივლისს ჩატარდა სტუდენტთა V საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია. კონფერენციაში მონაწილეობა შეეძლოთ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამივე საფეხურის სტუდენტებს. აბსტრაქტები განიხილა სპეციალურად შექმნილმა კომისიამ. სულ მიღებულ იქნა 40 აბსტრაქტი, სამეცნიერო კომისიამ კონფერენციისთვის შეარჩია 28 მოხსენება. სტუდენტების მოხსენებები შეაფასა ჟიურიმ შემდეგი შემადგენლობით:

თეონა მატარაძე, ასოცირებული პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე)

ვალერიან მელიქიძე, ასოცირებული პროფესორი

სალომე დუნდუა, ასოცირებული პროფესორი

ხათუნა მაისაშვილი, ასოცირებული პროფესორი

გიორგი კვინიკაძე, ასოცირებული პროფესორი

თენგიზ ვერულავა, ასოცირებული პროფესორი

დავით მაცაბერიძე, ასისტენტ-პროფესორი

შორენა თურქიაშვილი, ასისტენტ-პროფესორი

თინათინ მაჭარაშვილი, მასობრივი კომუნიკაციის დოქტორი

კონფერენციაზე მუშაობდა 5 სექცია ფაკულტეტის ძირითადი მიმართულებების მიხედვით. თითოეული სექციიდან გამოვლინდნენ გამარჯვებულები.

სტუდენტთა 79-ე საუნივერსიტეტო კონფერენცია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე 2019 წლის 19-20 დეკემბერს ჩატარდა ივანე ჯავახიშვილის სტუდენტთა 79-ე საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენცია. კონფერენციაში მონაწილეობა შეეძლოთ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამივე საფეხურის სტუდენტებს. სულ კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო 48 მოხსენება, რომლებიც 4 სექციაში გადანაწილდა.

კონფერენციის მონაწილეები, წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით, შეაფასა ფაკულტეტის პროფესორებისაგან შემდგარმა 11-კაციანმა ჟიურიმ .

თეონა მატარაძე, ასოცირებული პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე)

თეა წითლანაძე, თსუ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების

დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

ვალერიან მელიქიძე, ასოცირებული პროფესორი

სალომე დუნდუა, ასოცირებული პროფესორი

ზურაბ დავითაშვილი, პროფესორი

თორნიკე თურმანიძე, პროფესორი

ზვიად აბაშიძე, ასოცირებული პროფესორი

სალომე ნამიჭეიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ნინო ჭალაგანიძე, ასოცირებული პროფესორი

რევაზ ჭიჭინაძე, ასოცირებული პროფესორი

შორენა თურქიაშვილი, ასისტენტ-პროფესორი

კომისიამ გამოავლინა შემდეგი გამარჯვებულები:

1. მაკა გოგილაშვილი - სახელმწიფო აგრარული პოლიტიკის ეფექტიანობის შიდა ქართლის მაგალითზე (მაგისტრატურის III სემესტრი). ხელმძღვანელი: თეონა მატარაძე, ასოცირებული პროფესორი.

2. მარიამ ფრანგიშვილი, სოფიკო ტაბატაძე - თურქეთისა და სირიელი ქურთების კონფლიქტის გაშუქება ქართულ მედიასივრცეში, იმედისა და მთავარი არხის მაგალითზე (ბაკალავრიატის V სემესტრი). ხელმძღვანელი: სალომე დუნდუა, ასოცირებული პროფესორი.

3. ბექა ირომაშვილი, ანა აბრამიძე - დაძაბული ურთიერთობები აშშ-სა და თურქეთს შორის და მისი გავლენა საქართველოზე (ბაკალავრიატის I სემესტრი). ხელმძღვანელი: თორნიკე თურმანიძე, პროფესორი.

4. ბაჩო ბითარი ხუროშვილი, ელეონორა ჭანია - თუშეთის მდგრადი განვითარების ტენდენციები მთის კანონის ამოქმედების კვალდაკვალ

(ბაკალავრიატის V სემესტრი). ხელმძღვანელი: დავით სიჭინავა, ასისტენტ-პროფესორი.

5. ნიკა მუყასაშვილი, დაჩი ჩიტაია - მოსკოვისა და თბილისის ჩრდილოვანი გავლენები აფხაზეთის ავტონომიურ ხელისუფლებაზე 1985-1991 წლებში და მისი გავლენა ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებზე (ბაკალავრიატის V სემესტრი). ხელმძღვანელი: სალომე დუნდუა, ასოცირებული პროფესორი.

სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია „კავკასია გზაჯვარედინზე - რეგიონული სტაბილურობის გამოწვევები“

18 მაისს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტებისა და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ორგანიზებით გაიმართა VII ერთობლივი სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია ‘‘კავკასია გზაჯვარედინზე: რეგიონული სტაბილურობის გამოწვევები’’.

კონფერენციის თემატიკა მოიცავდა მრავალ ასპექტს, როგორიცაა რეგიონული უსაფრთხოების საკითხები, ეკონომიკური განვითარება, ადამიანის უფლებები, თანამედროვე სოციალური გარემო და სხვა. შესაბამისად, კონფერენციაში მონაწილეობის გზით სხვადასხვა სასწავლო პროგრამის სტუდენტებს საშუალება მიეცათ რეგიონულ სტაბილურობასთან დაკავშირებული საკითხები სხვადასხვა პრიზმიდან განეხილათ.

კონფერენცია მოიცავდა ხუთ სესიას:

- ეკონომიკა;
- ინტერდისციპლინური სესია;
- საერთაშორისო ურთიერთობები და პოლიტიკის მეცნიერება;
- საჯარო ადმინისტრირება და სახელმწიფო მმართველობა;
- ჟურნალისტიკა.

კონფერენციაში მონაწილეობდნენ აზერბაიჯანში, საქართველოსა და სომხეთში აკრედიტებული უნივერსიტეტების ბაკალავრიატის მესამე და მეოთხე კურსის სტუდენტებსა და მაგისტრანტები;

კონფერენციის სამუშაო ენები იყო ქართული და ინგლისური.

დარგის სპეციალისტებისგან დაკომპლექტებულმა კომისიამ თითოეულ სესიაზე შეაფასა მონაწილეების მიერ წინასწარ გამოგზავნილი ნაშრომები და ადგილზე წარმოდგენილი პრეზენტაციები. გამარჯვებულ ავტორებს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტისგან გადაეცათ თბილისი მოლის 100-ლარიანი სასაჩუქრე ვაუჩერები, საუკეთესო ნაშრომები კი გამოქვეყნდა სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო ჟურნალის სპეციალური ნომრის სახით. კონფერენციის თითოეულ მონაწილეს გადაეცა სერტიფიკატი.

საჯარო ლექცია „რატომ არის გეოგრაფიული მდებარეობა მნიშვნელოვანი: კონფლიქტების მექანიზმების გაგება გეოგრაფიულ ჭრილში ჩრდილოეთ ირლანდიის, კენიისა და „ახლო საზღვარგარეთის“ მაგალითებზე“

14 მაისს თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ორგანიზებით ჩატარდა საჯარო ლექცია თემაზე: „რატომ არის გეოგრაფიული მდებარეობა მნიშვნელოვანი: კონფლიქტების მექანიზმების გაგება გეოგრაფიულ ჭრილში ჩრდილოეთ ირლანდიის, კენიისა და „ახლო საზღვარგარეთის“ მაგალითებზე“.

საჯარო ლექციას წარუძღვა მკვლევართა ჯგუფი: კრისტინ ბაკე (ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯი, დიდი ბრიტანეთი), ჯონ ო'ლაფლინი (კოლორადოს უნივერსიტეტი, ბოულდერი, აშშ), ჯერარდ თოული (Virginia Tech, აშშ).

ლექციის მსვლელობისას ავტორებმა ისაუბრეს კონფლიქტის გეოგრაფიული მეთოდებით შესწავლის სამ მაგალითზე. ჩრდილოეთ ირლანდიაში, 1998 წლის ე.წ. წითელი პარასკევის შეთანხმებიდან (Good Friday Agreement) დღემდე, დასახლებული პუნქტების სხვადასხვა უბანზე კონტროლს არაფორმალური ფორმირებები მოსახლეობაზე ძალადობით ახორციელებენ, რაც რეგიონში მანამდე არსებული შეიარაღებული კონფლიქტისას არსებული სოციალური კონტროლის გამოძახილია.

კენიის შემთხვევაში, ეთნიკურ ჯგუფებს შორის ლოკალიზებული ძალადობრივი მოვლენები უკავშირდება როგორც კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ რესურსებისა და საკვების სიმწირეს, ისე - ჯგუფებს შორის ძალაუფლებისთვის ბრძოლას.

რაც შეეხება ე.წ. „ახლო საზღვარგარეთს", განსაკუთრებით კი უკრაინასა და საქართველოს, დიდ სახელმწიფოებს შორის დაპირისპირებამ მცირე ქვეყნებში და მათ ფარგლებს გარეთ არსებულ კონფლიქტებზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა. ერთობლივად აღწერილი სამი მაგალითი გვიჩვენებს „ადგილმდებარეობის ძალას" და მიგვითითებს თანამედროვე კონფლიქტების შემეცნებისთვის სივრცითი პერსპექტივის მნიშვნელობაზე.

ორადეას უნივერსიტეტის (რუმინეთი) პროფესორების საჯარო ლექცია

1 ოქტომბერს ორადეას უნივერსიტეტის (რუმინეთი) პროფესორებმა იოან ჰორგამ და კონსტანტინ ტოკამ გამართეს საჯარო ლექცია თემაზე „რუმინეთი და ევროკავშირი". მომხსენებლებმა მიმოიხილეს რუმინეთისა და ევროკავშირის ურთიერთობის აქტუალური საკითხები, კავშირის წევრობის უპირატესობები და უარყოფითი მხარეები. შეხვედრას ესწრებოდნენ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორები და სტუდენტები.

ამერიკელ პროფესორთა საჯარო ლექციები

10 დეკემბერს გაიმართა ამერიკელი პროფესორების, რეიჩელ როჯერსისა და ჯოან მარტინის საჯარო ლექციები. შეხვედრა საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მიერ

მხარდაჭერილი მედიაგანათლების პროგრამის ფარგლებში ჩატარდა და მას ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების სტუდენტები და პროფესორები ესწრებოდნენ. გარდა საჯარო დისკუსიისა, გაიმართა ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრები უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან.

სამუშაო შეხვედრა სოციალურ მუშაკთა განათლების შესახებ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის და ბავშვთა ზრუნვისა და დაცვის სრულყოფის ცენტრის (CELCIS) ორგანიზებით 2019 წლის 3-4 ოქტომბერს გაიმართა სამუშაო შეხვედრა სოციალურ მუშაკთა განათლების შესახებ. შეხვედრაში მონაწილეობდნენ როგორც ქართველი, ისე უცხოელი სპეციალისტები სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, ტაჯიკეთიდან, უკრაინიდან, სერბეთიდან, ბულგარეთიდან და ალბანეთიდან.

გამოცდილების გაზიარებასთან ერთად მონაწილეებმა დასახეს სამომავლო თანამშრომლობის გეგმებიც.

მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტებისა და სახელმძღვანელოების პრეზენტაცია

25 მარტს თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ორგანიზებით გაიმართა „მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტებისა“ და „სახელმძღვანელოების“ კონკურსებში 2018 წელს გამარჯვებულ ნაშრომთა პრეზენტაცია. პროექტების ავტორებმა დამსწრე აუდიტორიის წინაშე წარადგინეს კონკურსის ფარგლებში დაფინანსებული კვლევების შედეგები და შექმნილი სახელმძღვანელოები. შეხვედრის შემდეგ გაიმართა დისკუსია.

პროგრამა შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე:

https://www.tsu.ge/ge/faculties/social/news/VlzhHkgN30_1hQN-v/?p=13

„ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალის“ მეშვიდე ნომრის პრეზენტაცია

8 აპრილს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა „ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალის“ მეშვიდე ნომრის პრეზენტაცია. ნომერში გამოქვეყნებულ სტატიებში გაანალიზებულია საერთაშორისო ურთიერთობის, საჯარო მმართველობის, ეკონომიკისა და ტრანსპორტის კუთხით არსებულ ადგილობრივ და საერთაშორისო გამოწვევები. ავტორთა მიერ სტატიების წარდგენის შემდეგ გაიმართა დისკუსია.

საჯარო ლექციათა ციკლი

2018 წლის გაზაფხულის სემესტრიდან სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მიმდინარეობს ფაკულტეტის პროფესორთა საჯარო ლექციების ციკლი - “სოციალური და პოლიტიკური ტრანსფორმაცია: საქართველო ფოკუსში”. 2019 წელს გაიმართა 7 საჯარო ლექცია:

I ლექცია - 14 თებერვალი. „ივანე ჯავახიშვილი და საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები.“ პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების პროფესორი მალხაზ მაცაბერიძე;

II ლექცია - 14 მარტი. „თავისუფლების კულტურა საქართველოში (სოციოლოგიური ანალიზი)“. სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულების პროფესორი იაგო კაჭკაჭიშვილი;

III ლექცია - 11 აპრილი. „დემოგრაფიული ქცევის ტრანსფორმაცია თანამედროვე საქართველოში“. საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების პროფესორი ვაჟა ლორთქიფანიძე;

IV ლექცია - 2 მაისი. „ტრანსი, ფსევდორეალობა და მედია“. ინტერდისციპლინური დეპარტამენტის პროფესორი მარიამ გერსამია;

V ლექცია - 13 ივნისი. "კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულის პრობლემის შესწავლა პოლიტიკის მეცნიერებაში". პოლიტიკის მეცნიერების დეპარტამენტის პროფესორი ალექსანდრე კუხიანიძე;

VI ლექცია - 17 ოქტომბერი. "ლიბერალიზმი და პოპულიზმი თანამედროვე დემოკრატიაში". ინტერდისციპლინური დეპარტამენტის პროფესორი მარინა მუსხელიშვილი;

VII ლექცია - 14 ნოემბერი. „რუსეთის პოლიტიკური კულტურისა და დემოკრატიის განვითარების თავისებურებები“. პოლიტიკის მეცნიერების დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი ავთანდილ ტუკვაძე.

საჯარო ლექციების სრული ვიდეოჩანაწერების ნახვა შესაძლებელი ბმულზე: *http://multimedia.tsu.edu.ge/ka/video/narkvevi*

მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი 2019

2019 წლის 23-27 სექტემბერს, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალმა, დოქტორანტებმა და მაგისტრებმა მონაწილეობა მიიღეს განათლების

სამინისტროს მიერ ორგანიზებულ მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალში. მონაწილეებმა წარმოადგინეს ფაკულტეტის ეგიდით განხორციელებული კვლევების შედეგები. ჩატარდა ღია კარის დღეები, გაიმართა შეხვედრა სკოლის მოსწავლეებთან.

23 სექტემბერს გაიმართა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის სტუდენტთა კვლევების პრეზენტაციები:

ბასკური და კატალონიური ნაციონალიზმების შედარებითი ანალიზი (ფრანცისკო ფრანკოს მმართველობის პერიოდი და თანამედროვე ეპოქა) - ანა ჩუბინიძე;

შარჟული ენა საბჭოთა იუმორისტულ გამოცემებში-ჟურნალ „ნიანგის“ მაგალითზე - სალომე სამხარაძე;

იმიგრანტებისა და ეთნიკური უმცირესობების შესახებ დისკურსი ქართველი ულტრანაციონალისტების ფეისბუკგვერდებზე - მახარე აჭაიძე;

თბილისის კლუბური კულტურა და ახალგაზრდების სუბკულტურული კაპიტალი - ლანა დავითულიანი;

მიღებული განათლების დონის/ხარისხისა და დასაქმების შესაძლებლობების შესაბამისობა საქართველოს შრომის ბაზარზე - ანა ასათიანი, ჯილდა თირქია;

ტურიზმის ინდუსტრიის განვითარების სოციალურ-ეკონომიკური და სივრცითი ასპექტები სამეგრელოს რეგიონში - დავით კვარაცხელია;

მოლაპარაკების პროცესში მხარეების ურთიერთზეგავლენა და პოზიციის შენარჩუნება - დავით ფეიქრიშვილი;

დასაქმებული მშობლების დროის მენეჯმენტი და შვილებთან კომუნიკაცია - მარიამ ჯაიანი;

კურორტ წაღვერის რეაბილიტაციისა და განვითარების ახალი მიმართულებების გამოვლენა: ტრანსდისციპლინური მიდგომა - ტატიანა სიჭინავა;

პოსტსაბჭოთა ნოსტალგიის კულტურული შედეგები: სამი თაობის პერსპექტივიდან დანახული საბჭოთა ნოსტალგია - ხატია ჩხვიმიანი;

არქტიკა გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ განზომილებაში - ლაშა ჩახუნაშვილი;

სახელმწიფოს როლის გაგება თანამედროვე ქართულ პარტიულ სპექტრში - ნიკა გიგაური.

25 სექტემბერს შედგა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტთა კვლევების პრეზენტაციები:

შრომისა და დასაქმების პოლიტიკა საქართველოში - ფასადური ინსტიტუტები, საერთაშორისო აქტორები და იდეების ბრძოლა - ანა დიაკონიძე;

კონსოციონალური დემოკრატიული მოდელი პოსტსაბჭოთა მრავალეთნიკურ სახელმწიფოში (საქართველოს მაგალითი) - მიხეილ შავთვალაძე;

პოლიტიკური დეცენტრალიზაცია, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის კომპონენტი და ბალტიისპირეთის ქვეყნების გამოცდილება - ანა წითლიძე;

ტერორიზმისა და უსაფრთხოების საკითხების გაშუქება ქართულ მედიაში (1995-2015 წწ.) - თამარ ნარინდოშვილი;

ახალგაზრდების ღირებულებები და მათი განსხვავება უფროსი თაობების ღირებულებებისგან საქართველოში - თამარ ხოშტარია;

სვეტის ტრანსფორმაცია ქართული პრესის დემოკრატიზაციის პროცესში - ნათია სვანიძე;

თურქეთი და სამხრეთ კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების საკითხი (სამხრეთ კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების თურქული მოდელები) - მაია მანჩხაშვილი.

26 სექტემბერს გაიმართა ღია კარის დღე ფაკულტეტის მულტიმედია ცენტრში ცენტრის საქმიანობის წარმოსაჩენად, ჩატარდა სამუშაო პროცესის მოდელირება. სტუდენტებისა და სტუმრების აქტიური ჩართულობით მომზადდა ფოტო, ვიდეო, აუდიო და ონლაინ მედიაპროდუქტი. ამავე დღეს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტმა ქ. თბილისის პირველ ექსპერიმენტულ საჯარო სკოლაში გამართა ღია კარის დღე მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლებისათვის. ღია კარის დღის ფარგლებში ფაკულტეტის 6 საბაკალავრო პროგრამიდან (პოლიტიკის მეცნიერება, საერთაშორისო ურთიერთობები, სოციოლოგია, საზოგადოებრივი გეოგრაფია, სოციალური მუშაობა, ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია) დამამთავრებელ ეტაპზე მყოფი სტუდენტები შეხვდნენ მოსწავლეებს და მოკლედ გააცნეს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები და საკუთარი გამოცდილება.

27 სექტემბერს თსუ ტურიზმის სკოლის შენობაში გაიმართა ღია კარის დღე გეოინფორმაციული სისტემების ლაბორატორიაში, სადაც დარგის სპეციალისტმა დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა, როგორ იქმნება რუკა გის–ის მეშვეობით (QGIS და ArcGIS), რა ეტაპებს გადის ინფორმაცია მოპოვებიდან რუკაზე მოხვედრამდე.


ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
მეცნიერებისა და ინოვაციების
ფესტივალი
2019
პ რ ო გ რ ა მ ა
23–27 სექტემბერი